



საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის
აქტი

№ 32/00

„26“ დეკემბერი 2011

ქ. თბილისი

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ჯერენაშვილი

„26“ დეკემბერი 2011 წელი

გვ. N2

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2010 წლის
სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის აქტი.

აუდიტის საფუძველი: საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 22 მარტის N28/43 ბრძანება

აუდიტის ობიექტი: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი N9;

აუდიტის ჯგუფი: მთავარი აუდიტორი გიორგი მელანაშვილი (ჯგუფის უფროსი), უფროსი აუდიტორი თამაზ გურგენიძე, აუდიტორი გიორგი მშვილდაძე და აუდიტორ-სტაჟიორი ცირა ლაშქარავა

აუდიტის ვადა: 28/03/2011 – 26/06/2011(დაწყება-დასრულება).

აუდიტის მეთოდი: შერჩევითი

შემოკლებანი:

1. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - სამინისტრო;
2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“ - ფონდი;
3. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია - სფფ;
4. ფეხბურთის ასოციაციასა საერთაშორისო ფედერაცია- FIFA

სარჩვი:

სარჩვი:	3
შესავალი	4
1 ასიგნებების გადანაწილება	5
2 პროგრამების განხორციელება:	5
3 შეთანხმება ურთიერთ-თანამშრომლობის შესახებ	7
4 თანხების ანაზღაურება	9
5 დებიტორულ კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა:	11
6 ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	13
7 საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“	14
8 აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი და აუდიტის ჯგუფის წევრთა ხელმოწერები	16

შესავალი

2010 წლის 29 ივნისის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების საფუძველზე შეიქმნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, ლიკვიდირებული იქნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ამ დეპარტამენტის, ასევე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საკითხებში ჩაითვალა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

სამინისტრო ახორციელებს სპორტის განვითარების ხელშეწყობის და სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებებს და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამებს:

ორგან. კოდი	დასახელება	2010 წლის გეგმა (დამტკიცებული 26.11.10)	დაზუსტებული	გადახდა	სხვაობა (ბიუჯეტში დარჩენილი რესურსი)
39 00	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	31,080,600.00	42,201,021.00	42,042,159.66	158,861.34
39 01	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი	1,740,100.00	4,449,982.00	4,428,278.52	21,703.48
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	24,023,200.00	28,627,446.00	28,539,669.58	87,776.42
39 02 01	ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა	6,900,000.00	7,500,000.00	7,466,930.06	33,069.94
39 02 02	რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა	4,300,000.00	4,600,000.00	4,591,702.05	8,297.95
39 02 03	სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამა	10,026,800.00	10,861,498.00	10,833,832.05	27,665.95
39 02 04	ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამა	1,500,000.00	1,544,548.00	1,541,657.21	2,890.79
39 02 05	სსიპ – საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი	403,400.00	403,400.00	403,118.07	281.93
39 02 06	საქართველოს რეგიონებში ზაფხუთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა	193,000.00	168,000.00	157,532.14	10,467.86
39 02 07	სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამა	700,000.00	3,550,000.00	3,544,898.00	5,102.00
39 02 08	სპორტის განვითარების ხელშეწყობის სხვა ღონისძიებები	-	-	-	-
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	2,407,600.00	2,407,600.00	2,382,860.00	24,740.00
39 03 01	ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიები	396,000.00	396,000.00	372,000.00	24,000.00
39 03 02	საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების წევრთა, პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიები	1,770,000.00	1,770,000.00	1,769,260.00	740.00
39 03 03	ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარება	241,600.00	241,600.00	241,600.00	-
39 04	ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა	2,909,700.00	6,715,993.00	6,691,351.56	24,641.44
39 04 01	პროგრამა „პატრიოტი“	2,145,500.00	5,866,793.00	5,848,258.22	18,534.78
39 04 02	ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებები	764,200.00	849,200.00	843,093.34	6,106.66

2010 წელში ყველა პროგრამას გარდა „ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებებისა“ (ორგან. კოდი: 39 04 02) ახორციელებდა თავად სამინისტრო აპარატის მეშვეობით, ხოლო „ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებები“ განახორციელა სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულმა სამმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომლებზეც შესაბამისი ასიგნება - 849 200 ლარი, გადანაწილებული იყო შემდეგნაირად:

ორგ. კოდი	სსიპ-ს დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	სხვაობა (ბიუჯეტში დარჩნილი რესურსი)
390,402	„საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“	125,000.00	124,999.59	0.41
390,402	„ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“	654,200.00	650,433.75	3,766.25
390,402	„საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“	70,000.00	67,660.00	2,340.00

1 ასიგნებების გადანაწილება

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილებასთან დაკავშირებით 2010 წლის 2 ივლისიდან ჯამში განხორციელებულია სულ 20 ცვლილება საერთო თანხით 1 047 000 ლარი. აღნიშნული თანხიდან 800 000 ლარი აისახა დამტკიცდა 2010 წლის 19 ნოემბრის „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით, რომლითაც მთლიანი ასიგნება განისაზღვრა 31 080 625 ლარით, მათ შორის - 1 844 200 ლარი შეადგენს საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილ თანხებს რომლებიც ასევე აისახა ამავე კანონში.

კანონის საბოლოო რედაქციით დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების კუთხით განხორციელდა 247 000 ლარის ფარგლებში, რაც შესაბამისობაშია საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებთან.

2 პროგრამების განხორციელება:

სპორტის სფეროში პროგრამების განმახორციელებელია სამინისტრო. პროგრამების განხორციელება გამოიხატება სხვადასხვა ფედერაციებისათვის სუბსიდიის გაცემაში, რომელიც უნდა მოხმარდეს პროგრამით განსაზღვრული მიზნების შესრულებას, კერძოდ, მიზნების მიღწევასთან დაკავშირებული ცალკეული ღონისძიებების დაფინანსებას.

ლონისძიებებს ორგანიზებას უწევენ და ანხორციელებენ ფედერაციები, სამინისტროსთან შეთანხმებით.

ფედერაციების საქმიანობა და მათი შექმნის მიზნები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან. ფედერაციების დაფინანსების წყარო, გარდა სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან მიღებული ასიგნებებისა, შიძლება იყოს საერთაშორისო ფედერაციებისგან¹ და სხვა პირებისგან მიღებული დახმარება. ფედერაციებს გააჩნიათ ასევე საკუთარი შემოსავლები როგორებიცაა: ბილეთების რეალიზაცია, შემოსავალი რეკლამიდან, შეჯიბრებებში მონაწილე ქვეყნების ფედერაციებისა და სპორტსმენების საორგანიზაციო შენატანები² და სხვა, რომლებიც ასევე უნდა მოხმარდეს სპორტის განვითარებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ღონისძიება ფინანსდება სხვადასხვა წყაროდან. ასეთ დროს სამინისტროს არ მიეწოდება სრული ინფორმაცია მთლიანი ღონისძიების შესახებ, როგორცაა ღონისძიების მთლიანი ღირებულება და დაკავშირებული აქტივობები, დაფინანსების წყაროები და თანხობრივი მონაწილეობა.

სამინისტროში არ ფუნქციონირებს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ სრული ინფორმაციის მიღებას და გაანალიზებას.

სამინისტრო შემოიფარგლება სუბსიდიის ფარგლებში ავანსად გაცემული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების სისრულის და პროგრამის მიზნებთან შესაბამისობის შემოწმებით. არ ხდება აღნიშნული ინფორმაციის სისტემატიზირება ღონისძიების ფარგლებში შესყიდული საქონლისა და მომსახურების სახეებისა და მიმწოდებლების მიხედვით.

არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტულ ღონისძიებაზე გასაწევი ხარჯის ოდენობის გონივრულობის და მიზანშეწონილობის საკმარის დასაბუთებას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ადექვატური კონტროლის უზრუნველსაყოფად, სამინისტროს მიერ მოხდეს, ღონისძიებასთან დაკავშირებული ყველანაირი შემოსავლების და ხარჯების შესახებ ინფორმაციის წინასწარ გამოთხოვა, მათი ერთობლიობაში განხილვა და დაფინანსების მოცულობის და მიზანშეწონილობის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. კონკრეტულ ღონისძიებასთან დაკავშირებული ყველანაირი შემოსავალი, მათ შორის მესამე პირების შემოწირულობები და ასევე საკუთარი სახსრები, განხილულ იქნეს საერთო მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელ ერთიან სახსრებად. დაფინანსების გეგმა დაკავშირებული იყოს ერთიან საერთო

¹ ცალკეული ჩემპიონატებისა და ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია საერთაშორისო ფედერაციების კონტრიბუცია, გარკვეული ხარჯების დაფარვის მიზნით, როგორც ფიქსირებული გარკვეული ეტაპისათვის ასევე შედეგის მიხედვით ყოველი ჩტარებული მატჩისათვის.

² როდესაც ღონისძიების ორგანიზატორი და მასპინძელია ადგილობრივი ფედერაცია, საერთაშორისო რეგულაციების თანახმად სტუმარ ფედერაციებს ევალებათ ფიქსირებული საორგანიზაციო შენატანების განხორციელება განსხვავებულად სხვადასხვა ღონის ჩემპიონატებისა და საერთაშორისო მატჩებისათვის.

შედეგებთან. აღწერილი და დასაბუთებული იყოს თითოეულ ეტაპზე მოთხოვნილი თანხის დანიშნულება შინაარსი და მისი კავშირი პროგრამის მიზნებთან. აღნიშნულის გარდა, დაფინანსების მოთხოვნა თითოეულ ეტაპზე განხორციელდეს შემდეგი სახით, კერძოდ: გამოიჯნული იყოს დაფინანსების სხვადასხვა ტიპები/წყაროები (სუბსიდია, შემოწირულობა და სხვა) პროცენტული ან ფიქსირებული მაჩვენებლების გამოყენებით.

- დაფინანსების მიმღებ მხარეს დაეკისროს ვალდებულება, რომ დაფინანსების მიღების შემდგომ დაუყოვნებლივ აცნობოს, სახელმწიფო სუბსიდიის გამცემ ორგანოს თუ:
 - იგი იგივე ღონისძიებისათვის სხვა სახელმწიფო ორგანოსგან ან ნებისმიერი სხვა წყაროსაგან მიიღებს დაფინანსებას;
 - სახსრების გამოყენების მიზნები, ან სუბსიდიის გაცემის ნებართვის მიღებისას გათვალისწინებული რაიმე სხვა პირობები იცვლება, ან რაიმე მიზეზების გამო ვერ სრულდება;
 - გამოიკვეთება, რომ დაფინანსების გადაწყვეტილებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებული თანხა აღარ არის საკმარისი;

თუ დაფინანსების მიმღებ ორგანოს გააჩნია შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეული, მან პირველმა ჩაატაროს აღნიშნული პროექტის თუ პროგრამის შესრულების აუდიტი და შედეგები ასახოს დოკუმენტურად.

3 შეთანხმება ურთიერთ-თანამშრომლობის შესახებ

FIFA-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ოფიციალური დოკუმენტების ჩამონათვალში, კანონებისა და რეგულაციების სექციაში, განთავსებულია დოკუმენტი სათაურით „ურთიერთ-თანამშრომლობის სტანდარტული შეთანხმება“, რომელიც წარმოადგენს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებული ქვეყნების ეროვნული ფედერაციებისა და შესაბამის ქვეყანაში სპორტის საკითხებზე პასუხისმგებელი ორგანოს თანამშრომლობის მარეგულირებელი შეთანხმების სტანდარტულ ფორმას. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ, იგი შემუშავებულია FIFA-ს მიერ და შეიცავს თანამშრომლობის წინასწარ განსაზღვრულ ფორმას, მეთოდს, მხარეთა უფლება-მოვალეობებს და სხვა.

შეთანხმების მიზანია FIFA-ს დებულებებისა და რეგულაციების ფარგლებში, ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, განმარტოს, განსაზღვროს და ჰარმონიზება გაუკეთოს თითოეული მხარის ინტერესს, რაც აუცილებელია კარგი მმართველობის უზრუნველყოფისა და ფეხბურთის ოპტიმალური განვითარებისათვის.

საგულისხმოა შეთანხმების შემდეგი პუნქტები:

8. დაფინანსება:

2. ასოციაცია წინასწარ წარუდგენს ღონისძიებასთან დაკავშირებულ ყველა-ხარჯს. ხარჯთაღრიცხვა შეთანხმებული უნდა იქნეს სპორტის საკითხებზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოსთან. შემდგომში ასოციაციამ უნდა წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება სახსრების გამოყენების შესახებ, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს ასოციაციის აუდიტორის მიერ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

31. მიზანი

1. შეთანხმების დამატებით მიზანს წარმოადგენს, როგორც FIFA-სგან მიღებული დაფინანსების, ასევე სხვა შესაბამისი კონფედერაციებისა და ორგანოების და სახელმწიფო თუ ადგილობრივი მთავრობის მიერ სუბსიდირებული სახსრების გამოყენების ტრანსპარენტულობისა და სწორი მართვის უზრუნველყოფა.

2. ფედერაცია ვალდებულია ასეთი სახსრების გამოყენების შესახებ მოამზადოს სპეციალური ფინანსური ანგარიშგება.

32. წყაროები

დ) *სუბსიდიები მთავრობისა და რეგიონალური ორგანოებიდან:* იმ შემთხვევაში თუ ასოციაციის ანგარიშზე მოხდება მთავრობისა და რეგიონალური მთავრობის სახსრები, მისი მართვა უნდა ხდებოდეს ეროვნული კანონმდებლობისა და ამ შეთანხმებაში ასახული სწორი მართვის საფუძვლების თანახმად, რომელთა ზედამხედველობას უნდა ახორციელებდნენ კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები. ანგარიში აღნიშნული სახსრების ხარჯვის შესახებ მთლიანი ფინანსური ანგარიშის შედგენის მიზნებისთვის უნდა წარედგინოს გენერალურ ასამბლეას.

33. ანგარიშგება

2. ფედერაცია ვალდებულია ყურადღებით მოეპყროს და შეინახოს აღნიშნული სახსრების მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი რათა წარუდგინოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს.

3. წელიწადში ერთხელ ორგანიზებული უნდა იქნეს შეხვედრა ფედერაციასა და სპორტზე პასუხისმგებელ ორგანოს შორის სასურველია FIFA-ს დასწრებაც, რათა მოხდეს ინფორმაციის გაცვლა ფედერაციის ფინანსური მენეჯმენტის შესახებ.

აუდიტის ობიექტის განმარტების თანახმად აღნიშნული შეთანხმება ფედერაციასა და სამინისტროს შორის არ გაფორმებულა და შესაბამისად აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი მსგავსი დოკუმენტი.

სამინისტროს მიერ აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი ფედერაციის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა და მის მიერ დამოწმებული ფინანსური ანგარიშგება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- სამინისტრომ მოახდინოს ფედერაციასთან, FIFA-ს მიერ რეკომენდირებული სტანდარტული შეთანხმების გაფორმება და შესაბამისობაში მოიყვანოს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული კონტროლის პროცედურები.

4 თანხების ანაზღაურება

4.1 საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია

კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებზე³, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდის მივლინებასთან დაკავშირებული ავია ბილეთებისა და ვიზის ხარჯების უზრუნველსაყოფად მინისტრის 2010 წლის 27 ივლისის N04/ა და 11 აგვისტოს N08/ა ბრძანებების საფუძველზე გადაერიცხა შესაბამისად 39 545 და 45 049 ლარი.

ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი აღნიშნული საავანსო თანხების ანგარიშებში⁴ მეორდებოდა ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები 15 795 ლარზე, ხოლო 17 500 ლარის საავანსო თანხის ხარჯად აღიარების საფუძველი იყო მხოლოდ ინვოისი და გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. აუდიტის ჯგუფის მიერ მოთხოვნილი იქნა ხარჯვის დამადასტურებელი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენა. მოთხოვნილის ნაცვლად, წარმოდგენილი იქნა ორივე თანხის, ჯამში 33 295 ლარის (=17500+15795) ფედერაციის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტი დაბრუნების დამადასტურებელი დოკუმენტები⁵. თანხის დაბრუნება განხორციელდა აუდიტის პროცესში, კერძოდ, 2011 წლის 21 ივნისს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

სუბსიდიის ფარგლებში გაცემული სახსრების ხარჯვის ანგარიშების სახელშეკრულებო პირობებთან და ღონისძიების მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად და შეცდომების თვიდან აცილების მიზნით, სამინისტრომ მომავალში მოახდინოს ფედერაციების მიერ წარმოდგენილი ხარჯვის ანგარიშების სისტემატიზირება ღონისძიების ფარგლებში შესყიდული საქონლის/მომსახურების სახეებისა და

³ 5 აგვისტოს ქ. ანტვერპენი (ბელგია), 14 აგვისტო ქ. სოფია (ბულგარეთი), 17 აგვისტო ქ. ლოდი (პოლონეთი), 26 აგვისტო ქ. პორტო (პორტუგალია).

⁴ მიღება-ჩაბარების აქტები: N547 27.10.10 და N604 19.11.10

⁵ საგადახდო დავალებები: N1500, 21.06.11. და N1501, 21.06.11.

მიმწოდებლების მიხედვით და აწარმოოს შესაბამისი ინვოისებისა და ანგარიშფაქტურების რეესტრი.

4.2 საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს 2010 წლის 15 ოქტომბრის N6-425 ბრძანებით, საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას, ფედერაციის აღმასკომის წევრის ამბროსი მატიაშვილის მსოფლიო ჩემპიონატზე მაროკოში მივლინებასთან (2010 წლის 19-25 ოქტომბერი) დაკავშირებით ავანსად გადაერიცხა 5 227 ლარი.

ფედერაციის მიერ სამინისტროსათვის წარდგენილი ანგარიშის მიხედვით ამბროსი მატიაშვილის სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 4 505.9 ლარი (მგზავრობა - 2 026 ლარი; სასტუმრო და ვიზა 1 847.36 ლარი; დღიური ხარჯი უწყისით - 632.52 ლარი). სხვაობა ავანსად გადარიცხულ თანხასა და ფაქტიურ ხარჯს შორის 721 ლარი ($= 5\,227 - 4\,505.9$) დაბრუნებული იქნა სამინისტროს სახაზინო ანგარიშზე.

ფედერაციის წესდების და აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი 2011 წლის 27 მაისის N280 წერილის მიხედვით ირკვევა, რომ ამბროსი მატიაშვილი ძიუდოს ფედერაციის აღმასკომის წევრი არ ყოფილა, შესაბამისად სახელმწიფო სუბსიდიის ფარგლებში მისი ვიზიტის ხარჯების ანაზღაურება, არ შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია: სამინისტრომ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული თანხის (4 505.9 ლარის) სახელმწიფო ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

4.3 სფფ

2010 წლის 28 აპრილის N318/ს ხელშეკრულების საფუძველზე ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას საქართველოს U13 ნაკრების გერმანიაში (ქ. ფარელი) საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებლად წინასწარ გადაერიცხა 45 739 ლარი;

2010 წლის 9 აგვისტოს N92/ს ხელშეკრულების საფუძველზე ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციას საქართველოს ეროვნული ნაკრების საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისათვის (ქ. ათენში) და წინასამატჩო შეკრებისათვის (კვიპროსში) წინასწარ გადაერიცხა 186 850 ლარი.

2010 წლის 23 ივლისის და 9 ნოემბრის N38 და N61 მიღება-ჩაბარების აქტებით ფედერაციის მიერ სამინისტროსათვის წარდგენილია ღონისძიებასთან დაკავშირებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები და მასპინძელი ფედერაციებისგან მიღებული ინვოისები, რომლებიც შეიცავენ შიდა ტრანსპორტირების ღირებულებასაც. გარდა ამისა დამატებით წარმოდგენილია, რესტორნის, ტაქსის, სამედიცინო შემოწმების და სხვა მომსახურების - სულ 2450 ლარის ექვივალენტი ქვითრები (მიღება-ჩაბარება N38) და ტაქსის მომსახურების ქვითარი 470 ლარის ექვივალენტი (მიღება-ჩაბარება N61),

აღნიშნული თანხა, ჯამში 2 920 ლარი, სამინისტროს მიერ აღიარებულია მიზნობრივ ხარჯად.

მოცემული კატეგორიის ხარჯების ანაზღაურება არ შეესაბამება „საბიუჯეტო სახსრებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების“ წესს⁶ და ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია: სამინისტრომ უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება აღნიშნული თანხის (2 920 ლარის) სახელმწიფო ბიუჯეტში დასაბრუნებლად.

5 დებიტორულ კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობა:

დავალიანების სახე:	2010 წლის 1 იანვრისათვის	2011 წლის 1 იანვრისათვის	სხვაობა მატება (+)/კლება (-)
დებიტორული	435,578.00	275,545.00	-160,033.00
კრედიტორული	1,520,751.00	2,115,943.00	595,192.00

სხვაობების განმარტება:

(ლარი)

დავალიანების სახე	სხვაობა მატება/კლება	განმარტება
დებიტორული	(177,132)	ფედერაციების მიერ 2009 წელს წარმოშობილი დებიტორული დავალიანების დაფარვა
	(149,295)	შპს მეგასპორტის და შპს ჯორჯიან სპორტსერვისის მიერ სამინისტროს წინაშე აღებული ვალდებულების შესრულება (სპორტული საქონლის მოწოდება)
	124,754	სპორტული ფედერაციებისთვის გადარიცხული თანხები, რომელთა ხარჯვის დამადასტურებელ ანგარიშები არ არის წარმოდგენილი 01.01.11 წ. მდგომარეობით
	48	ავანსად გადარიცხული თანხები ("მაგთიკომი", "ელვასერვისი")
	865	მოთხოვნები მივლინებიდან
	40,727	მიუღებელი საიჯარო გადასახადი (საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაქირავებული ფართებიდან)
კრედიტორული	601,092	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საგადასახადო ვალდებულებები (აქედან ბარათებზე დარიცხული საურავების აღიარება 566782ლ (სამინისტრო) +32119ლ (სსიპ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი) =598901ლარი))
	5,134	საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ წინასწარ მიღებული (საიჯარო) შემოსავლები და მომწოდებლების წინაშე წარმოშობილი ვალდებულებები
	(11,034)	სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახელფასო და მომწოდებლების წინაშე წლის დასაწყისისთვის არსებული ვალდებულებების დაფარვა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის

⁶ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2010 წლის 8 იანვრის N3/5 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო სახსრებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსების“ წესის თანახმად: „ქვეყნის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეჯიბრებებზე საქართველოს სპორტული დელეგაციის წევრების დღელამეში სასტუმროს ხარჯი და სადღეღამისო ხარჯი განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციებისა და ღონისძიების ორგანიზატორთა მიერ წინასწარ დადგენილი ნორმების მიხედვით.“

დებიტორულ კრედიტორული დავალიანებები:

(ათას ლარებში)

დავალიანების სახე:	2010 წლის 1 იანვრისათვის	2011 წლის 1 იანვრისათვის	სხვაობა მატება (+)/კლება (-)
დებიტორული	414,4	215,0	- 199,4
კრედიტორული	1 340,0	1 906,8	566,8

ნაშთების განმარტება:

- დებიტორები:

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებამ 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 414,4 ათასი ლარი, ხოლო 2011 წლის 1 იანვრისათვის 215,0 ათასი ლარი. 2010 წელს წარმოშობილია 127,0 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც ძირითადად წარმოადგენს ფედერაციების ღონისძიებებისათვის გამოყოფილ თანხებს. სამინისტროს 2011 წლის 1 იანვრისათვის ბალანსზე ერიცხება 83,1 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. რომელიც წარმოადგენს საქართველოს კონტროლის პალატის 2002 წლის ფეხბურთის ფედერაციის თემატური შემოწმების აქტის საფუძველზე აღიარებულ დავალიანებას. შემოწმების თანახმად, ფედერაციის მიერ ავანსად მიღებული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები 83,1 ათას ლარზე არ ექვემდებარებოდა ხარჯში ჩამოწერას. აღნიშნული თანხის ამოღების მიზნით საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, საქართველოს კონტროლის პალატის წერილით⁷ ეთხოვა, რათა 83,1 ათასი ლარი ბუღალტრულად აღრიცხულიყო, როგორც ფედერაციის დავალიანება დეპარტამენტის მიმართ. საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის წერილით ეცნობა საქართველოს კონტროლის პალატას, რომ დავალიანების აღრიცხვის მიზნით მიმდინარეობდა საბუღალტრო დოკუმენტაციის ურთიერთშედარება და თანხის ამოღების მიზნით გატარებული ღონისძიებების შესახებ აცნობებდნენ დამატებით.

დამატებითი წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კონტროლის პალატას დღემდე არ მიუღია. სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა აღნიშნული თანხის ამოღების მიზნით გატარებულ ღონისძიებებს.

- კრედიტორები:

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხულმა კრედიტორულმა დავალიანებამ 2010 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 1 340,0 ათასი ლარი, ხოლო 2011 წლის 1 იანვრისათვის 1 906,8 ათასი ლარი. კერძოდ: ეროვნული

⁷ წერილი N6-01-5/1890, 07.10.2002

40

ფედერაციების შენახვის ხარჯმა 411,2 ათასი ლარი შეადგინა, ჩატარებულმა ღონისძიებების ხარჯმა (82 პიროვნება) 282,4 ათასი ლარი, სტიპენდიების დავალიანებამ 284,3 ათასი ლარი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონთა გაუცემელმა ჯილდომ 117,0 ათასი ლარი, ვეტერან სპორცმენტა დახმარებამ 21,1 ათასი ლარი, ხოლო წინა წლების საშემოსავლო და სოციალური გადასახადის დავალიანებაა 203,3 ათასი ლარი, რაზეც დასაგადასახადო ორგანოს მიერ დარიცხულმა საურავმა შეადგინა 566,7 ათასი ლარი. კრედიტორული დავალიანებები წარმოშობილია 1997-2004 წლებში. ბოლო შედარება ცალკეულ ნაშთებზე სამინისტროს მიერ მოხდენილია 2008 წელს⁸.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია

სამინისტრომ უზრუნველყოს:

- ქმედითი ღონისძიებების გატარება აღნიშნული თანხის 83,1 ათასი ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნების მიზნით;
- მომავალში მოთხოვნებისა და ვალდებულებების სავალდებულო ინვენტარიზაციების ჩატარება.

6 ძირითადი საშუალებების ჩამოწერა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2009 წლის 20 აგვისტოს წერილის საფუძველზე სამინისტროს ნება მიეცა ჩამოეწერათ 61 დასახელების ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი საშუალებები. მათ მიერ ჩამოწერილი იქნა 50 ერთეული 4,9 ათასი ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, რაზედაც 2009 წლის 7 სექტემბერს შედგა აქტი ფასეულობების განადგურებაზე.

2009 წლის 7 სექტემბერს ჩამოწერილი ფასეულობები სამინისტროს მიერ ბუღალტრულ ანგარიშგებებში ასახული იქნა 2010 წლის ივნისის თვეში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის „სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის“ მე-10 პუნქტის თანახმად „პირველადი დოკუმენტები შედგენილ უნდა იქნეს სამეურნეო მოვლენის მოხდენის მომენტში, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, უშუალოდ მისი დამთავრებისთანავე და აღრიცხვაში ასახვის მიზნით, ბუღალტერიას უნდა გადაეცეს

⁸ დაირღვა საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები.

41
არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, თუ ორგანიზაციის მიერ სხვა ვადა არ იქნება დადგენილი“.

სამინისტროს მიერ ფასეულობების ჩამოწერასთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრული ასახვა განხორციელდა ოპერაციის განხორციელებიდან 8 თვის მერე.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

სამინისტრომ შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, განხორციელებული სამეურნეო მოვლენების შესახებ ინფორმაციის, დროულ ბუღალტრულ ასახვას.

7 საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“

აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირი შექმნილია 2001 წლის 15 თებერვალს „ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და მე-15 მუხლების საფუძველზე საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2001 წლის 15 თებერვლის N5 ბრძანებით. როგორც მითითებული კანონის ასევე ორგანიზაციის წესდების თანახმად იგი შექმნილია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან არსებული ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების რეესტრში გატარებულ ორგანიზაციათა პროგრამების, ღონისძიებებისა და პროექტების კონკურსის წესით შერჩევის, მათი დაფინანსების და შემდგომში ამ სახსრების ხარჯვის კონტროლის მიზნით.

ფონდს სამინისტროსათვის არ წარუდგენია საბიუჯეტო განაცხადი. მისი აქტივობა ამ კუთხით შემოიფარგლა მხოლოდ 2010 წლის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების და შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების დამტკიცებით და სამინისტროსათვის შესათანხმებლად წარდგენით. აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილ აღნიშნულ დოკუმენტაციას არ ახლავს შეთანხმების დამადასტურებელი რეზოლუციები. მისი მიხედვით წლის განმავლობაში შრომის ანაზღაურების მუხლიდან გასაწევი ხარჯების ლიმიტმა შეადგინა 48 000 ლარი.

2010 წელს ფონდის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ (ასიგნება) და ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 70 000 ლარი. მათ შორის: შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა ხელფასები - 46 955 ლარი; პრემია - 7 694; შტატგარეშე თანამშრომელთა ანაზღაურება - 7 800 ლარი, ოფისის ხარჯები - 4 019 ლარი; ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის ხარჯები - 3 532 ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 67

660 ლარი. სხვაობა საკასოსა და ფაქტიურ ხარჯს შორის 2 336 ლარი წარმოადგენს წლის განმავლობაში დარიცხულ და გაცემულ ხელფასს შორის სხვაობას.

შრომის ანაზღაურების მუხლიდან გაწეული ხარჯი - 54 649 ლარი ($=46\ 955+7\ 694$), 6 649 ლარით აღმატება დამტკიცებულ ლიმიტს.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის განმავლობაში ფონდს არ ჩაუტარებია არც ერთი კონკურსი პროგრამების, ღონისძიებებისა და პროექტების შერჩევის მიზნით.

ფონდის განმარტებით (წერილი N01-1/18, 04.05.11 - ცნობა საქართველოს კონტროლის პალატას) აღნიშნულის მიზეზი იყო დაფინანსების სიმცირე და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც ლიკვიდირებული იქნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და შეიქმნა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. ამავე განმარტებით, იმის გამო, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის დებულებაში და სხვა მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანას დასჭირდა გარკვეული პერიოდი, დარჩენილ დროში ვეღარ მოესწრო პროექტების განხორციელება.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული იმავე ცვლილების თანახმად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, ასევე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა საკითხებში ჩაითვალა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. შესაბამისად რაც ამ კანონით ფონდისათვის შეიცვალა იყო ის, რომ მისი კონტროლის განმახორციელებელი ორგანო გახდა სამინისტრო. რაც შეეხება ნორმატიულ აქტებს, რომლებიც გამოცემული იყო დეპარტამენტის პერიოდში, შესაბამისად მოქმედებდა მათი გაუქმების ან მათში ცვლილებების შეტანამდე. ასე, რომ წერილში მითითებული ცვლილებების დაყოვნების მიზეზი, არ უშლიდა ხელს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს თავისი ფუნქციების განხორციელებაში. ხოლო, რაც შეეხება ფინანსების სიმცირეს, არც აღნიშნული წარმოადგენს ობიექტურ მიზეზს, რადგანაც იგი პირდაპირ მიუთითებს არასწორ დაგეგმვაზე, რისი ერთერთი მიზეზი არის სწორედ სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისგან საბიუჯეტო განაცხადების და სამუშაო გეგმების წარმოუდგენლობა.

შესაბამისად ორგანიზაციის მიერ 2010 წლის განმავლობაში არ მომხდარა წესდებით მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

გამომდინარე აქედან, ფონდის მიერ აღნიშნული ხარჯი 70 000 ლარის ოდენობით გაწეულია არაეფექტურად, ხოლო 6 649 ლარი გაცემულია შრომის ანაზღაურების ლიმიტს ზემოთ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია

სამინისტრომ უზრუნველყოს:


- მომავალში ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, როგორც ფონდის ასევე სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული ყველა სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საბიუჯეტო განაცხადებისა და სამოქმედო გეგმების წარმოდგენა, სადაც გათვალისწინებული იქნება მათი საკუთარი შემოსავლებიც. რაც სამინისტროს საშუალებას მისცემს ბიუჯეტი დაგეგმოს ისე რომ უზრუნველყოფილი იქნეს ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფუნქციების სათანადოდ შესრულება. შეისწავლოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნების მიზნების აქტუალობა და იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება ამ მიზნების თანხვედრა სამინისტროს მიმდინარე პრიორიტეტებთან და/ან საბიუჯეტო სახსრები არ არის საკმარისი, დააყენოს აღნიშნული პირების ლიკვიდაციის საკითხი;
- ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის რესურსების გამოყენებას დაწესებული ლიმიტების ფარგლებში.

8 აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი და აუდიტის ჯგუფის წევრთა ხელმოწერები

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში, ქ. თბილისი ქეთევან დედოფლის გამზირი N96.

ჯგუფის ხელმძღვანელი

მთავარი აუდიტორი:
გიორგი მელანაშვილი


ხელმოწერა

26.12.11
თარიღი